

ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის  
თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის აკადემიურ თანამდებობაზე 65 წლის ან  
მეტი ასაკის პირის არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების, ემერიტუსის აკადემიური  
წოდების მინიჭებისა და ანაზღაურების მიცემის წესი და პირობები

**მუხლი 1. 65 წლის ან მეტი ასაკის პირის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა და  
გათავისუფლების წესი**

1. ააიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის  
თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის (ტექსტში შემდგომ - თსას-ი) აკადემიურ თანამდებობაზე 65 წლის ან მეტი ასაკის პირის აკადემიური თანამდებობის  
დაკავების საკითხი წყდება სასულიერო აკადემიისა და სემინარის სამეცნიერო საბჭოს  
მიერ აკადემიური თანამდებობებისათვის განსაზღვრული ყოველი ცალკეული  
პოზიციისათვის საბჭოს დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

2. სამეცნიერო საბჭომ აკადემიურ თანამდებობაზე 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა და-  
ნიშვნის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს მიზანშეწონილობიდან გამო-  
ძინარე ცალკეული ფაკულტეტის ან ფაკულტეტის ცალკეული მიმართულებისათვის.

3. 65 წლის ან მეტი ასაკის თსას-ის აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან  
გათავისუფლების საკითხი რეგულირდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების,  
აკადემიის წესდების, აკადემიის სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებ-  
ლობის საფუძველზე.

**მუხლი 2. სასულიერო აკადემიაში აკადემიური თანამდებობის მქონე პირისათვის  
ემერიტუსის წოდების მინიჭებისა და ანაზღაურების მიცემის წესი და პირობები**

1. ააიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის  
თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის ემერიტუსი (შემდგომში -  
ემერიტუსი) წარმოადგენს სასულიერო აკადემიის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე  
დაწესებულ აკადემიურ წოდებას.

2. ემერიტუსის აკადემიური წოდება ენიჭება პირს, თუ ის ამ წოდების მინიჭების  
შესახებ განაცხადის გაკეთების მომენტისათვის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) არის 65 წლის ან მეტი ასაკისა;

ბ) უკავია აკადემიის პროფესორის ან/და მეცნიერი თანამშრომლის (ან მისი ეკვივალენტის<sup>1</sup>) თანამდებობა;

<sup>1</sup>მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის ეკვივალენტს, სამუშაოს შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვრავს სამეცნიერო საბჭო.

გ) აქვს თსას-ში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება, მათ შორის - პროფესორად მუშაობის არანაკლებ 10 წლისა.

დ) თავისი პედაგოგიური, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აკადემიის ან/და შესაბამისი დარგის განვითარებაში.

3. ემერიტუსის წოდება პირს ენიჭება მისი განცხადებისა და შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე, სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, თსას-ის რექტორის მიერ. უფლებამოსილ პირს შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე აქვს უფლება, მოითხოვოს ემერიტუსის წოდების მინიჭება, პროფესორის ან/და მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლების პირობით.

4. ემერიტუსის წოდების მინიჭებისთანავე იგი თავისუფლდება თსას-ის პროფესორის ან/და მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობიდან. სამეცნიერო საბჭოს მიერ პირისათვის დადგნენილი წესით ემერიტუსის წოდების მინიჭების საკითხი განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება სემესტრებს შორის პერიოდში.

5. 65 წლის ან მეტი ასაკის თსას-ის პროფესორი ან/და მეცნიერი თანამშრომელი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება და გააკეთოს განაცხადი ან ემერიტუსის წოდების მისანიჭებლად, ან აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე განაცხადის გაკეთების შემდგომ პირი ვერ დაიკავებს პროფესორის თანამდებობას, იგი კარგავს ემერიტუსის წოდების მინიჭებაზე განაცხადის გაკეთების უფლებას.

6. თსას-ის ემერიტუსის წოდების მქონე პირს სასწავლებლის მიერ მიეცემა ყოველთვიური ანაზღაურება, რომელიც შეადგენს მისთვის ემერიტუსის წოდების მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიღებისას თსას-ში არსებული პროფესორის ყველაზე დაბალი თანამდებობრივი სარგოს 80 %-ს.

### მუხლი 3. დამატებითი პირობები

1. ემერიტუსის წოდების მქონე პირმა შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს თსას-ის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში, შეასრულოს როგორც ანაზღაურებადი, ისე არაანაზღაურებადი სამუშაო აკადემიური, სამეცნიერო და დამხმარე/ად-მინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე.

2. ემერიტუსის წოდების მქონე პირმა, აკადემიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ისარგებლოს დამატებითი სოციალური გარანტიებით, შეუზღუდავად ისარგებლოს აკადემიის რესურსებით და აკადემიის მიერ დაწესებული სხვა შეღავათებით.

#### **მუხლი 4. ემერიტუსის წოდების შეწყვეტა**

1. პირს უწყდება ემერიტუსის წოდება, თუ გამოვლინდება, რომ მას წოდება მიენიჭა ამ წესის დარღვევით ან კანდიდატის მიერ არასწორი ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე.

2. თსას-ის ემერიტუსის წოდების მქონე პირს მის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური, სამეცნიერო ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების შემთხვევაში უწყდება თსას-ის მიერ გასაცემი ყოველთვიური ანაზღაურება.

#### **მუხლი 5. გარდამავალი დებულებები (ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების დროებითი წესი)**

1. ემერიტუსის აკადემიური წოდება ენიჭება 65 ან მეტი ასაკის პირს, რომელიც იმყოფება აკადემიასთან შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში და ამ წოდების მინიჭების შესახებ განაცხადის გაკეთების მომენტისათვის:

ა) წარმოადგენს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მოქმედ თანამშრომელს, აქვს თსას-ში მუშაობის არანაკლებ 20 წლის გამოცდილება და თავისი პედაგოგიური, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აკადემიის ან/და შესაბამისი დარგის განვითარებაში;

2. თსას-ში ემერიტუსის წოდების მქონე პირს აკადემიის მიერ მიეცემა ყოველთვიური ანაზღაურება:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების ყოველთვიურ ანაზღაურებას განსაზღვრავს სამეცნიერო საბჭო. სამეცნიერო საბჭოს მიერ განსაზღვრული ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ ბოლო 2 წლის მანძილზე თსას-ში მუშაობის საშუალო თვიურ ანაზღაურებას; ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საბჭო ხელმძღვანელობს თავის მიერ დადგენილი კრიტერიუმებით.

#### **მუხლი 6. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.

2. წინამდებარე წესის მე-5 მუხლის მოქმედება შეწყდეს 2019 წლის 31 დეკემბერს.

3. პირს ემერიტუსის წოდება ენიჭება მის მიერ ამ წოდების მინიჭებაზე განაცხადის გაკეთების დროისათვის მოქმედი წესით და მასზე ვრცელდება ამ წესის თანმდევი სამართლებრივი შედეგები.
4. ემერიტუსის წოდების მქონე პირებისათვის წოდების მინიჭებისას განსაზღვრული ანაზღაურების ოდენობა შეცვლას არ ექვემდებარება.
5. გადაწყვეტილება პირისათვის ემერიტუსის წოდების მინიჭების თაობაზე უნდა იქნეს მიღებული ამ წოდების მინიჭებაზე ფაკულტეტის წარდგენის დღიდან 6 თვეში.
6. წესში ცვლილების შეტანა ხდება რექტორის ბრძანებით.